შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს N 2 გადაწყვეტილებით

12.02.2024 წ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

ფართო სფერო: 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

Business, Administration and Law

ვიწრო სფერო: 041 ბიზნესი და ადმინისტრირება

Business and Administration

დეტალური სფერო: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

Management and Administration

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
Bachelor of Business Administration

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: თ. დოლიაშვილი, პროფესორი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ). პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; მისცეს ცოდნის ფართო სპექტრი სფეროს ძირითადი საკითხების შესახებ; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ თანამედროვე დონის სისტემური და მეთოდოლოგიური ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს მზად იყვნენ იმ ცვლილებებისთვის, რომლის პირობებშიც მოუწევთ საქმიანობა; განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რათა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა შეძლოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა და საკუთარი კომპეტენ-ციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება; მიმდინარე პროცესების გაანალიზება, შეფასება, არგუმენტირებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, მიღებული შედეგების წარდგენა. ასევე, გამოუმუშაოს პროფესიული, პიროვნული და სოციალური პასუხისმგებლობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის, მისცეს შესაძლებლობა აიღოს საკუთარ თავზე შემდგომი სწავლის საჭიროების დაგეგმარების პროცესი.

პროგრამის სტრუქტურა

”ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. ”ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) ცოდნისა და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძი-რითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საქმიანობისათვის აუცილე-ბელი კომპეტენციების გამომუშავებისათვის საჭირო სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში და პრაქტიკა. დამატებითი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი თავისუფალი კომპონენტის საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებია, რომელთა არჩევაც შესაძლებელია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით) სტუ-დენტს თვითონაც შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამის კომპონენ-ტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა გან-საზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას.

<u>„ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტი</u>:

<u>სავალდებულო კომპონენტები: 195 კრედიტი</u>

- *თავისუფალი კომპონენტის საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები:* **10** კრედიტი
- უცხო ენა(თავისუფალი კოიმპონენტის ზოგადი სავალდებულო კურსები): **20** კრედიტი
- *სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები:* **145** კრედიტი
- *საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში:* **10** კრედიტი
- *პრაქტიკა:* **10** კრედიტი

<u>**არჩევითი კომპონენტები: 45 კრედიტი**</u>

- *სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები;*
- *თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები.*

<u>*შენიშვნა:*</u> ***სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების*** *არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა.* ***თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები*** *სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.*

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამის სწავლება ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დაძლევის შედეგად უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ახალგაზრდას სათანადო ცოდნითა და შესაბამისი კომპეტენციებით. აქედან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტების ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები. კერძოდ, ლექცია, სწავლება კეთებით, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება, დისკუსია-დებატები, ზეპირი გამოკითხვა, შემთხვევების შესწავლა და მათი ანალიზი, ჯგუფში მუშაობა, გონებრივი იერიში, წერილობითი დავალებების შესრულება, პრაქტიკულ მაგალითებზე მუშაობა, დემონსტრირება და ა.შ.

სწავლების პროცესში გამოიყენება ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე, ან ნებისმიერი სხვა მეთოდი პროფესორის შეხედულების შესაბამისად, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	1. აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს; 2. განიხილავს სისტემური და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების როლს, როგორც მზარდი სარგებლის მიღების საშუალებას და კრიტიკული გააზრებით აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში.
უნარი	3. განსაზღვრავს ორგანიზაციის პრიორიტეტებს ოპერატიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელების პროცესში; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად; 4. ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; 5. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდების გამოყენებით ასაბუთებს პრობლემების გადაჭრის გზებს, აყალიბებს სათანადო დასკვნებსა და რეკომენდაციებს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად; 6. ამზადებს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობით ანგარიშს და წარადგენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7. იღებს პასუხისმგებლობას საქმიანობის წარმართვის პროცესში, მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით, როგორც სასწავლო, ისე სამუშაო გარემოში; 8. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასების ფორმებია შუალედურ და დასკვნითი შეფასება. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

<u>*შენიშვნა:*</u> *შუალედური შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.*

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის დახასიათების გათვალისწინებით სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიში ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21 ქულა, მაქს. ქულა - 60). პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია ფასდება კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა, მაქს. ქულა - 40). პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის *მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასებისა და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები* მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით, რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 21 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისა და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

შეფასების სისტემა უშვებს:

- **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

  (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

  (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

  (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

  (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

- **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა (საბაკალავრო ნაშრომის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა) დაინიშნება დასკვნითი გამოცდის (საბაკალავრო ნაშრომის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვის) შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭ-რა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს (ახლიდან ექნება წარმოსადგენი საბაკალავრო ნაშრომი, ახლიდან ექნება პრაქტიკა გასავლელი) და ჩააბარებს გამოცდას (დაიცავს საბაკალავრო ნაშრომს, პრაქტიკის ანგარიშს).

დასაქმების სფერო

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და დასაქმდეს: სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ნებისმიერი სფეროს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციაში, მათ შორის სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივ კომერციულ სტრუქტურებში შესაბამის თანამდებობებზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე კანომდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები; *ბიბ-ლიოთეკა* - კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები, ბიბლიო-თეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა; კერძოდ: **Cambridge Journals Online** (https://www.cambridge.org/core); **e-Duke Journals Scholarly Collection** (https://www.dukeupress.edu/); **Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** (https://www.elgaronline.com/page/70/journals); **IMF eLibrary** (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true); **Royal Society Journals Collection** (https://royalsociety.org/journals/); **SAGE Premier** (http://journals.sagepub.com/) *კომპიუტერული ბაზა* - კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი; ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტში.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

საბაკალავრო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, სტუდენტთა საკონფერენციო ნაშრომების კრებულის სახით გამოშვებაზე და ა.შ.

შენიშვნა: *,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართების სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: *რ. კვარაცხელია* _____

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი: *თ. დოლიაშვილი*_____

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის დანართები

დანართი 1

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მითითებით

#	სასწავლო კომპონენტი	წინაპირობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები							
					საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი მუშაობის საათები								
					ლექცია	ჯგუფში /პრაქტიკული მუშაობა და შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
სავალდებულო კომპონენტები										*195 კრედიტი*							მათ შორის:
თავისუფალი კომპონენტის საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები															**10 კრედიტი**		
1	აკადემიური წერა	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**	**x**							
2	ICT წიგნიერება	-	**5**	**125**	-	30	2	**32**	**93**	**x**							
უცხო ენა (თავისუფალი კომპონენტის ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები)															**20 კრედიტი**		
3	ინგლისური ენა 1	-	**5**	**125**	-	60	2	**62**	**63**	**x**							
4	ინგლისური ენა 2	3	**5**	**125**	-	60	2	**62**	**63**		**x**						
5	ინგლისური ენა 3	4	**5**	**125**	-	60	2	**62**	**63**			**x**					
6	ინგლისური ენა 4	5	**5**	**125**	-	60	2	**62**	**63**				**x**				
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები															**145 კრედიტი**		
7	ბიზნეს ინგლისური ენა 1	6	**5**	**125**	-	60	2	**62**	**63**					**x**			
8	ბიზნეს ინგლისური ენა 2	7	**5**	**125**	-	60	2	**62**	**63**						**x**		
9	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	-	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**	**x**							
10	მიკროეკონომიკის პრინციპები	-	**6**	**150**	15	30	2	**47**	**103**	**x**							
11	კალკულუსი	-	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**	**x**							
12	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2	9	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**		**x**						
13	მაკროეკონომიკის პრინციპები	10	**6**	**150**	15	30	2	**47**	**103**		**x**						
14	ალბათობის თეორია	11	**4**	**100**	15	15	2	**32**	**68**		**x**						
15	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	11	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**		**x**						
16	სტატისტიკა ეკო-ნომიკისა და ბიზნესისათვის - 1	14	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**			**x**					
17	მენეჯმენტის	-	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**			**x**					

	საფუძვლები																
18	ფინანსების საფუძვლები	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**			**x**					
19	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	-	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**			**x**					
20	ფინანსური აღრიცხვა -1	19	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**				**x**				
21	ადამიანური რესურსე-ბის მენეჯმენტი	17	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**				**x**				
22	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	18	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**				**x**				
23	სტატისტიკა ეკო-ნომიკისა და ბიზნესისათვის - 2	16	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**				**x**				
24	კორპორაციის ფინანსები	18	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**					**x**			
25	ფინანსური აღრიცხვა -2	20	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**					**x**			
26	მარკეტინგის საფუძვლები	-	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**					**x**			
27	საგადასახადო საქმე	18	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**						**x**		
28	საერთაშორისო ბიზნესი	12	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**						**x**		
29	კომპიუტერულ - საინფორმაციო სისტემები ბიზნესისთვის	2	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**						**x**		
30	საერთაშორისო მარკეტინგი	26	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**						**x**		
31	სამეწარმეო სამართალი	12	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**							**x**	
32	სტრატეგიული მენეჯმენტი	17	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**							**x**	
33	კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა	12	**4**	**100**	15	15	2	**32**	**68**							**x**	
34	ლოგისტიკის საფუძვლები	13	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**							**x**	
35	PR მენეჯმენტი	26	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**								**x**
36	პრაქტიკა	9-34	**10**	**250**	-	-	-	**158**	**92**								**x**
37	საბაკალავრო ნაშრომი *	-	**10**	**250**	-	-	-	**92**	**158**								**x**
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები 45 კრედიტი																	
38	**ფსიქოლოგიის საფუძვლები (თავ. კომპ)**	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**		**x**	5 კრედიტი					
39	**ფილოსოფიის საფუძვლები (თავ. კომპ)**	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**		**x**						
40	**საქართველოს ისტორია (თავ. კომპონენტი)**	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**		**x**						
41	ეკონომიკის ისტორია	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**			**x**	5 კრედიტი				
42	ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**			**x**					
43	**სოციოლოგია (თავ. კომპონენტი)**	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**				**x**	5 კრედიტი			
44	ბუღალტრული აღრიცხვის	19	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**				**x**				

	ავტომატიზებული სისტემა (ORIS ბუღალტერია)																	
45	სოციალური პოლიტიკა	13	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**				**x**					
46	საქართველოს ეკონომიკა	13	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**					**x**	10 კრედიტი			
47	საბანკო საქმე	18	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**					**x**				
48	რეგიონული ეკონომიკა	13	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**					**x**				
49	ბიზნეს-კომუნიკაციები	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**					**x**				
50	რისკები და დაზღვევა	18	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**	5 კრედიტი					**x**			
51	მსოფლიო ეკონომიკა	13	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**						**x**			
52	ინვესტიციები	18	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**						**x**			
53	მმართველობითი აღრიცხვა	25	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**						**x**			
54	ფულის მიმოქცევა და კრედიტი	18	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**	10 კრედიტი						**x**		
55	აუდიტის საფუძვლები	25	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**							**x**		
56	მარკეტინგული კომუნიკაციები	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**							**x**		
57	ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**							**x**		
58	**საქმიანი ურთიერთობების ეთიკა ინგლისურ ენაზე (თავ. კომპონენტი)**	6	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**							**x**		
59	ლიდერობა - მართვის ხელოვნება (ინგლისურ ენაზე)	6	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**	5 კრედიტი								**x**
60	**ლიდერობა - მართვის ხელოვნება (თავ. კომპ)**	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**									**x**
61	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	17	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**									**x**
62	საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები	18	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**									**x**
63	ეკონომიკური ანალიზი	25	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**									**x**
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.																		

<u>**შენიშვნა:**</u> 1) საბაკალავრო ნაშრომისთვის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო საათების განაწილების განრიგი დაზუსტდება უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკისა და სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

2) საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 230 კრედიტის მოპოვება.

დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და შედეგების შედარება/პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები**	**შენიშვნა**
საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; მისცეს ცოდნის ფართო სპექტრი სფეროს ძირითადი საკითხების შესახებ; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ თანამედროვე დონის სისტემური და მეთოდოლოგიური ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს მზად იყვნენ იმ ცვლილებებისთვის, რომლის პირობებშიც მოუწევთ საქმიანობა; განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.	• აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს; • განიხილავს სისტემური და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების როლს, როგორც მზარდი სარგებლის მიღების საშუალებას და კრიტიკული გააზრებით აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში.	
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავ-რის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა უნდა შეძლოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პრიო-რიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება; მიმდინარე პროცესების გაანალიზება, შეფასება, არგუმენტირებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, მიღებული შედეგების წარდგენა.	• განსაზღვრავს ორგანიზაციის პრიორიტეტებს ოპერატიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელების პროცესში; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად; • ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; • ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტი-ფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდების გამოყენებით ასაბუთებს პრობლემების გადაჭრის გზებს, აყალიბებს სათანადო დასკვნებსა და რეკომენდაციებს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად; • ამზადებს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების	

	შესახებ წერილობით ანგარიშს და წარადგენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.	
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა უნდა გამოუმუშაოს პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა, აიღოს საკუთარ თავზე შემდგომი სწავლის საჭიროების დაგეგმარების პროცესი.	• იღებს პასუხისმგებლობას საქმიანობის წარმართვის პროცესში, მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით, როგორც სასწავლო, ისე სამუშაო გარემოში; • გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.	

დანართი 3

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური / მოწვეული პერსონალი

სახელი, გვარი	სტატუსი	აფილირების შესახებ	სასწავლო კურსები
ელისაბედ ბალიაშვილი	პროფესორი	აფილირებული	1. მენეჯმენტის საფუძვლები 2. ადმინისტრაციული მენეჯმენტი
თინათინ დოლიაშვილი ვახტანგ ნადირაძე	პროფესორი ასისტენტ პროფესორი	აფილირებული აფილირებული	1. ბუღ.აღრ.საფუძვლები 2. ფინანსური აღრიცხვა 1 3. ფინანსური აღრიცხვა 2 4. მმართველობითი აღრიცხვცა 5. აუდიტის საფუძვლები 6. ეკონომიკური ანალიზი
გიორგი კალანდია	პროფესორი	აფილირებული	1. საქართველოს ისტორია
დავით კბილაძე	პროფესორი	აფილირებული	1. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1 2. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2
ლელა ნატროშვილი გიორგი ლილუაშვილი	ასოცირებული პროფესორი მოწვეული სპეციალისტი		1. ICT ცნობიერება 2. ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა (ORIS ბუღალტერია)
დოდო თხელიძე შალვა ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი მოწვეული სპეციალისტი	აფილირებული	1. კალკულუსი 2. მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 3. ალბათობის თეორია
მარინე გაგოშიძე	ასოცირებული პროფესორი		1. ფილოსოფიის საფუძვლები
ჟანეტა კილასონია	ასისტენტ პროფესორი	აფილირებული	1. სოციოლოგია
პაატა კუნჭულია	ასოცირებული პროფესორი		1. საბანკო საქმე 2. ფულის მიმოქცევა და კრედიტი 3. რისკები და დაზღვევა
ნიკოლოზ ნაცვლიშვილი	ასოცირებული პროფესორი		1. კორპორაციის ფინანსები 2. ინვესტიციები 3. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები
მანანა ნანიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი		1. მარკეტინგის საფუძვლები 2. საერთაშორისო მარკეტინგი 3. PR მენეჯმენტი 4. მარკეტინგული კომუნიკაციები
ხატია შევარდნაძე ირინე მანიჟაშვილი-შავლიაშვილი	ასოცირებული პროფესორი ასოცირებული პროფესორი	 აფილირებული	1. აკადემიური წერა
თამარ ჩაჩანიძე	ასოცირებული	აფილირებული	1. მიკროეკონომიკის პრინციპები

	პროფესორი		2. მაკროეკონომიკის პრინციპები 3. ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები 4. საგადასახადო საქმე 5. საერთაშორისო ბიზნესი
ია ხარაზი	პროფესორი		1. სამეწარმეო სამართალი
გიორგი სუბელიანი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	1. ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები 1 2. ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები 2 3. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი 4. სტრატეგიული მენეჯმენტი 5. კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა 6. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები
ნინო ლიპარტელიანი	ასოცირებული პროფესორი		1. ეკონომიკის ისტორია 2. მსოფლიო ეკონომიკა 3. სოციალური პოლიტიკა 4. საქართველოს ეკონომიკა 5. რეგიონული ეკონომიკა
ლალი ტოკაძე	ასოცირებული პროფესორი		1. კომპიუტერულ -საინფორმაციო სისტემები ბიზნესისთვის
ნათია ბუთხუზი	მოწვეული სპეციალისტი		1. ლოგისტიკის საფუძვლები
სოფიო მორალიშვილი	მოწვეული სპეციალისტი		1. ინგლისური ენა 1 2. ინგლისური ენა 2 3. ინგლისური ენა 3 4. ინგლისური ენა 4 5. ბიზნეს ინგლისური ენა 1 6. ბიზნეს ინგლისური ენა 2 7. ლიდერობა - მართვის ხელოვნება (ინგლისურ ენაზე)
თამარ ხეცურიანი	მოწვეული სპეციალისტი		1. ინგლისური ენა 1 2. ინგლისური ენა 2 3. ინგლისური ენა 3 4. ინგლისური ენა 4 5. საქმიანი ურთიერთობების ეთიკა (ინგლისურ ენაზე)
ნესტან აკობია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	1. ინგლისური ენა 1 2. ინგლისური ენა 2 3. ინგლისური ენა 3 4. ინგლისური ენა 4
ნინო ცერცვაძე	მოწვეული სპეციალისი		1. ფსიქოლოგიის საფუძვლები 2. ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები 3. ბიზნეს-კომუნიკაციები 4. ლიდერობა - მართვის ხელოვნება

დანართი 4

კურუკულუმის რუქა

N	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები							
		შედ. 1	შედ. 2	შედ. 3	შედ. 4	შედ. 5	შედ. 6	შედ. 7	შედ. 8
1	აკადენიური წერა	1,2,3			1,2,3	1,2,3	1,2,3	1,2,3	
2	ICT წიგნიერება	1,2,3			1,2,3		1,2,3		1,2,3
3	ინგლისური ენა 1	1,2,3			1,2,3		1,2,3		
4	ინგლისური ენა 2	2,3			2,3		2,3		
5	ინგლისური ენა 3	2,3			2,3		2,3		
6	ინგლისური ენა 4	2,3			2,3		2,3		
7	ბიზნეს ინგლისური ენა 1	1,2,3	1,2,3		2,3		2,3		
8	ბიზნეს ინგლისური ენა 2	2,3	2,3		2,3		2,3		
9	ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები 1	1,2	1,2	1,2		1,2			1,2
10	მიკროეკონომიკის პრინციპები	1,2,3	1,2,3	1,2		1,2	1,2	1,2	1,2
11	კალკულუსი	1		1		1	1		1
12	ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები 2	2,3	2,3	2,3		2,3		2,3	
13	მაკროეკონომიკის პრინციპები	1,2,3	1,2,3	2,3		2,3	2,3		2,3
14	ალბათობის თეორია	2,3		2,3		2,3	2,3		2,3
15	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	2,3		2,3		2,3	2,3		2,3
16	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1	2,3	2,3	2,3		2,3	2,3	1,2,3	2,3
17	მენეჯმენტის საფუძვლები	1	1	1		1		1,2,3	1
18	ფინანსების საფუძვლები	1	1	1		1	1	1	1
19	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	1	1		1	1	1	1	1
20	ფინანსური აღრიცხვა 1	2,3	2,3		2,3	2,3	2,3	2,3	2,3
21	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	2,3	2,3	2,3		2,3			2,3
22	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	2.3	2.3	2.3		2.3	2.3		2.3
23	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2	2,3	2,3	2,3		2,3	2,3	2,3	2,3
24	კორპორაციის ფინანსები	2,3	2,3	2,3		2,3	2,3	2,3	2,3
25	ფინანსური აღრიცხვა 2	2,3	2,3		2,3	2,3	2,3	2,3	2,3
26	მარკეტინგის საფუძვლები	1	1	1		1	1		
27	საგადასახადო საქმე	2.3	2.3	2.3		2.3	2.3		2.3

28	საერთაშორისო ბიზნესი	2.3	2.3			2.3	2.3		2,3
29	კომპიუტერულ -საინფორმაციო სისტემები ბიზნესისთვის	2,3	2,3	1,2,3	2,3	1,2,3			1,2,3
30	საერთაშორისო მარკეტინგი	2,3	2,3	2,3		2,3	2,3		1,2,3
31	სამეწარმეო სამართალი	1,2,3	1,2,3	1,2,3		1,2,3	1,2,3		1,2,3
32	სტრატეგიული მენეჯმენტი	2,3	2,3	2,3		2,3	1,2,3		2,3
33	კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა	2,3	2,3	2,3		2,3		2,3	
34	ლოგისტიკის საფუძვლები	2,3	2,3	2,3		2,3	2,3	1,2,3	2,3
35	PR მენეჯმენტი	2,3	2,3	2,3		2,3	2,3		2,3
36	პრაქტიკა			3	3	3	3	3	3
37	საბაკალავრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3

შედეგი 1. აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს;

შედეგი 2. განიხილავს სისტემური და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების როლს, როგორც მზარდი სარგებლის მიღების საშუალებას და კრიტიკული გააზრებით აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში;

შედეგი 3. განსაზღვრავს ორგანიზაციის პრიორიტეტებს ოპერატიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელების პროცესში; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;

შედეგი 4. ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

შედეგი 5. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდების გამოყენებით ასაბუთებს პრობლემების გადაჭრის გზებს, აყალიბებს სათანადო დასკვნებსა და რეკომენდაციებს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად;

შედეგი 6. ამზადებს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობით ანგარიშს და წარადგენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

შედეგი 7. იღებს პასუხისმგებლობას საქმიანობის წარმართვის პროცესში, მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით, როგორც სასწავლო, ისე სამუშაო გარემოში;

შედეგი 8. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.

შენიშვნა: დანართ 3-ში შედეგისა და სასწავლო კურსების სვეტის გადაკვეთაში ჩაწერილი რიცხვები ნიშნავს თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი შესაბამის სწავლის შედეგს. კერძოდ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - გამნტკიცება.

დანართი 5

სამიზნე ნიშნულები

N	სწავლის შედეგი	სამიზნე ნიშნული
1.	აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 45% მაქსიმალური შეფასების 71-80%
2.	განიხილავს სისტემური და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების როლს, როგორც მზარდი სარგებლის მიღების საშუალებას და კრიტიკული გააზრებით აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 45% მაქსიმალური შეფასების 71-80%
3.	განსაზღვრავს ორგანიზაციის პრიორიტეტებს ოპერატიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელების პროცესში; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 35% მაქსიმალური შეფასების 71-80%
4.	ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 55% მაქსიმალური შეფასების 71-80%
5.	ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდების გამოყენებით ასაბუთებს პრობლემების გადაჭრის გზებს, აყალიბებს სათანადო დასკვნებსა და რეკომენდაციებს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 45% მაქსიმალური შეფასების 71-80%
6.	ამზადებს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობით ანგარიშს და წარადგენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 40% მაქსიმალური შეფასების 71-80%
7.	იღებს პასუხისმგებლობას საქმიანობის წარმართვის პროცესში, მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით, როგორც სასწავლო, ისე სამუშაო გარემოში;	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მაქსიმალური შეფასების 81-90%
8.	გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მაქსიმალური შეფასების 81-90%